კოლექტივიზმი, ინდივიდუალიზმი და თანამედროვე საზოგადოება

[1]მანანა გაგოშიძე

[2]ნატალია ბიწაძე

[1]სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, [2]თელავის ი.გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/spectri.2024.09.01.09

აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროში უამრავი სოციალური ჯგუფი თუ ინსტიტუტი არსებობს. დღესდღეობით მეტად აქტუალურია საზოგადოების კოლექტივისტური და ინდივიდუალისტური ტიპი. თითოეული ჩვენგანი მივეკუთვნებით ამ ტიპებს ჩვენი ცხოვრებიდან გამომდინარე. ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი ერთნაირად გამოიყენება, როგორც ინდივიდის ასევე საზოგადოების აღსაწერად. ინდივიდუალისტური კულტურა გულსხმობს ქვეყანაში იმ ინდივიდების რაოდენობას, ვისი „მე-კონცეფცია“ სტაბილური პიროვნული თვისებებით არის განსაზღვრული და ნაკლებ არის დამოკიდებული სხვებზე. კოლექტიური კულტურის წევრთა „მე-კონცეფცია“ კი უფრო მეტად როლებითა და ჯგუფებისადმი მიკუთვნებით განისაზღვრება.

Abstract

Collectivism, individualism and modern society

[1]Manana Gagoshidze

[2]Natalia Bitsadze

[1]Sokhumi State University, [2]Iakob Gogebashvili Telavi State University

There are many social groups or institutions in the modern world. Collectivistic and individualistic type of society is very relevant nowadays. Each of us belongs to these types depending on our life. Individualism and collectivism are used equally to describe both the individual and society. Individualistic culture refers to the number of individuals in a country whose "self-concept" is defined by stable personality traits and is less dependent on others. The "self-concept" of the members of a collective culture is determined more by roles and belonging to groups.

ინდივიდუალიზმი - კოლექტივიზმი ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღირებულებით ორიენტაციას წარმოადგენს, რომელიც როგორც საზოგადოების, ასევე პიროვნების დახასიათების საშუალებას იძლევა.

ინდივიდუალიზმი ისეთი ადამიანების სიმრავლეს გულისხმობს, რომელთა მე - კონცეფცია ანუ საკუთარ თავზე არსებული შეხედულებები უფრო მდგრადი, ინდივიდუალური, სხვებზე ნაკლებად დამოკიდებული პიროვნული თვისებებით განისაზღვრება, ხოლო კოლექტივისტური კულტურის მოსახლეობის მე- კონცეფცია უფრო მეტად როლებით და ჯგუფებისადმი მიკუთვნებით განისაზღვრება. ამდენად, ინდივიდუალისტისთვის დამახასიათებელია „დამოუკიდებელი მე - კონცეფცია“, რომელიც აღქმულია, როგორც სტაბილური და გამოცალკავებული, და კოლექტივისტითვის დამახასითებელია „ურთიერთდამოკიდებული მე - კონცეფცია“, რომელიც განსაზღვრავს ადამიანს დიდი სოციალური ჯგუფების მიხედვით. კოლექტივისტური საზოგადოების წარმომადგენლები დიდ ყურადღებას აქცევენ საკუთარ ჯგუფს, რომელის უფრო ხშირად ესმით, როგორც საერთო ბედის მქონე ადამიანების ერთობა. კოლექტივისტებში მკვეთრია ზღვარი საკუთარ და სხვა ჯგუფს შორის, ასევე დიდია საკუთარი ჯგუფის მნიშნელობა. იგი ჰომოგენურად აღიქმება, მაშინ როცა ინდივიდუალისტურ საზოგადოებებში საკუთარი და სხვა ჯგუფის

წევრების მიმართ დამოკიდებულება ერთმანეთისგან ნაკლებად განსხვავდება. ჯგუფისა და ინდივიდის მიზნებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში ინდივიდუალისტურ საზოგადოებაში უპირატესობას ინდივიდუალურ, ხოლო კოლექტივისტურ საზოგადოებაში ჯგუფის მიზნებს ანიჭებენ. კოლექტივისტურ საზოგადოებაში სოციალური ქცევის რეგულატორის ფუნქციას ასრულებს ნორმები, ხოლო ინდივიდუალისტურში - ინდივიდუალური დამოკიდებულებები, ატიტუდები. კოლექტივისტებში, ინდივიდუალისტებისგან განსხვავებით მნიშვნელოვანია იერარქია, ჰარმონია, ღირსების შენარჩუნება, ასევე უფრო მოქმედია ნორმა, რომლის მიხედვითაც ჯგუფის შიგნით არსებული უთანხმოება არ უნდა იყოს სხვებისთვის გაზიარებული. საკუთარი ჯგუფის მიღწევები და ჯგუფის წევრებს შორის არსებული დამოკიდებულება უფრო მნიშვნელოვანია კოლექტივისტური საზოგადოებისთვის, ხოლო ინდივიდუალისტურ საზოგადოებებში კი - საკუთარი ბედი, პირადი მიღწევა და ჯგუფისგან დამოუკიდებლობა.

ბავშვის აღზრდისას ინდივიდუალურ საზოგადოებებში მეტი ყურადღება ექცევა იმას, რომ ადამიანი არის დამოუკიდებელი, შემოქმედებითი, ხოლო კოლექტივისტებში იმას, რომ ის არის დამჯერი, პასუხისმგებლიანი და მზადაა ჯგუფის მიზნების განხორციელებისთვის უარი თქვას საკუთარ მიზნებზე.

ქვეყანაში ეკონომიკური კეთილდღეობა ხელს უწყობს კოლექტივიზმიდან ინდივიდუალიზმისკენ სწრაფვას. სიმდიდრე ზრდის პიროვნების ფინანსურ დამოუკიდებლობას, რაც თავის მხრივ ამცირებს ჯგუფის წევრებზე დამოკიდებულებას. ეკონომიკური კეთილდღეობა დამოკიდებულია ოჯახის მცირე ზომასთან, ერთშვილიან ოჯახებში ბავშვების გაზრდა დაკავშირებულია მათი ინდივიდუალისტური ორიენტაციის ჩამოყალიბებასთან. მედიისადმი ექსპონირების ზრდას ასევე შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი ინდივიდუალიზმისკენ სწრაფვაში, რადგან ფილმების უმეტესობა ინდივიდუალურ კულტურაშია შექმნილი და შესაბამისად მათ ღირებულებებს არეკლავს. ასევე მნიშვნელოვანია მობილობა, როგორც სოციალური - მაღალი სოციო-ეკონომიკური კლასის წარმომადგენლები

მეტად ამჟღავნებენ ინდივიდუალისტურ ორიენტაციას, ასევე გეოგრაფიული - სოფლიდან ქალაქში მიგრაცია, ეკონომიკურად უფრო განვითარებულ ქვეყნებში დროებითი მიგრაცია.

კლასიკოსი სოციოლოგის დიურკემის თეორიულ კონცეფციაში შეიმჩნევა ორი მთავარი ტენდენცია, ნატურალიზმი და ე.წ. სოციალური რეალიზმი. პირველი ამოდის ბუნების მიხედვით საზოგადოებისა და მისი კანონზომიერების გაგებისგან და დაკავშირებულია განმანათლებლობის ფილოსოფიის ტრადიციებთან. მეორე კი საზოგადოების განსაკუთრებული გვარის რეალობის გაგებაა, რომელიც განსხვავებულია რეალობის ყველა სხვა სახეებისგან.

სოციალური რეალიზმი - როგორც საზოგადოების თეორია, არის დიურკემის ე.წ. სოციოლოგიზმის ნაწილი.

ინდივიდუალისტური კონცეფციების საპირისპიროდ „სოციოლოგიზმი“ თეორიულად ასაბუთებდა რეალობის სპეციფიკურობისა და ავტონომიურობის პრინციპს, უფრო მეტიც, ამტკიცებდა ინდივიდებზე მის პრიმატსა და უპირატესობას. ინდივიდთან შედარებით საზოგადოება განიხილებოდა როგორც შინაარსით უფრო მდიდარი რეალობა. მეთოდოლოგიურად „სოციოლოგიზმისთვის“ დამახასიათებელია სოციალური მოვლენებისადმი ობიექტური მეცნიერული მიდგომის პრინციპი. სოციალურის სხვა სოციალურით ახსნის მოთხოვნა და ამასთან დაკავშირებით - ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური რედუქციონიზმის კრიტიკა.

დიურკემი ერთმანეთისგან მკვეთრად მიჯნავს ინდივიდუალურ და კოლექტიურ ცნობიერებას. „ჯგუფი ფიქრობს, გრძნობს, მოქმედებს სავსებით სხვაგვარად, ვიდრე ამას გააკეთებდნენ მისი წევრები, ისინი რომ ერთმანეთისგან განცალკავებული ყოფილიყვნენ“. კოლექტიურ ანუ საერთო ცნობიერებას სოციოლოგმა უწოდა საზოგადოების ფსიქიკური ტიპი, რომელსაც აქვს განვითარების თავისი წესი, რომელიც არ დაიყვანება მატერიალურ საფუძველზე, თავისი თვისებები, არსებობის თავისი პირობები, კოლექტიური ცნობიერების დინამიკური ასპექტის, მისი სპონტანური არარეგულირებადი ხასიათის გამოხატვის მცელობისას, დიურკემმა

შემოიტანა ემოციონალურად შეფერილი ზოგადი იდეებისა და რწმენების აღსანიშნავად „ კოლექტიური წარმოდგენების“ ტერმინი. როგორც თავიანთი წარმოშობისა, ისე თავისი შინაარსის მიხედვითაც ისინი არიან საზოგადოებრივი და კოლექტიური.

კოლექტიური ანუ საერთო ცნობიერების გენეზისის განხილვისას დიურკემი ეყრდნობოდა ბუნების განვითარების უწყვეტელობისა და მარტივის რთულში „შემოქმედებითი სინთეზის“ იდეებს.

ინდივიდთა ურთიერთობებს საზოგადოებაში ის განმარტავდა, როგორც ასოციაციათა ურთიერთობებს, რის შედეგადაც წარმოიშობა ახალი თვისება (თვისობრიობა) სოციალური ცხოვრება, როგორც საქმიანობის პროცესი.

მოძღვრებას, რომლის თანახმადაც ინდივიდითა ურთიერთობისა და ასოციაციის პროცესში, ურთიერთქმედებისა და კომუნიკაციისგან წარმოიქმნება ახალი თვისობრიობა - სოციალური ცხოვრება, დიურკემის მკვლევარების მიერ ეწოდა „ასოციანისტური რეალიზმი“

დიურკემი „საზოგადოების დამოუკიდებლობის“ ქვეშ გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ მის ობიექტურობას ინდივიდთან მიმართებაში, და განსაკუთრებულ თვისობრივ სპეციფიკას და არა მიღმურობას, ზებუნებრიობას. „ჩვენ სრულიად არ გვსურს კოლექტიური წარმოდგენების ჰიპოსტაზირება - წერდა დიურკემი - ჩვენ ისევე ნაკლებ ვუშვებთ სუბსტანციური სულის არსებობას საზოგადოებაში, როგორც ცალკეულ ინდივიდში“ იგი საზოგადოებისა და ინდივიდთა დამოკიდებულებას განმარტავდა, როგორც მთელისა და ნაწილის დამოკიდებულებას, მუდამ ეყრდნობოდა ქიმიური მთელის როგორც მისი შემადგენელი ელემენტების სინთეზის მაგალითსა და ნიმუშს.

დიურკემი ხაზს უსვამდა კოლექტიურ ცნობიერებასა და სოციალურ გარემოს შორის მჭიდრო კავშირის არსებობას. იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლება ჯგუფის ზომა, სიდიდე, მისი ინდივიდუალური კომპონენტების სიმჭიდროვე და მობილობა, დამოკიდებულება ინდივიდუალურ გონებასა და კოლექტიურ გონებას შორის,

იცვლება კოლექტიური გონების სანქცირებული ზოგადი რწმენა შეხედულებებიც. მოგვიანებით დიურკემი კოლექტიურ ცნობიერებას უკვე მთელი საზოგადოების სასიცოცხლო კვანძად თვლის. საზოგადოებას ის აცხადებს „ყოველგვარ რწმენათა, იდეათა, და გრძნობათა კომპოზიციად, რომლებიც რეალობად იქცევიან ინდივიდების მეშვეობით.

დიურკემის პოზიტივისტურ სოციოლოგიას არ ახასიათებს მონიზმი. საზოგადოებასა და მის ცნობიერებას ის განიხილავდა, როგორც ერთი რიგის მოვლენებს, მის კონცეფციაში ის იყო არა მხოლოდ ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული, არამედ ახსნის დროს შეეძლოთ შეეცვალათ ეტიმოლოგიური თანმიმდევრულობაც. ხან კოლექტიური ცნობიერება - წარმოდგენები იყო საზოგადოების პროდუქტი, ხან პირიქით საზოგადოება იყო კოლექტიური ცნობიერების პროდუქტი, რაც დიურკემს მეცნიერულობის ნიშნად მიაჩნდა.

დიურკემის შემოქმედების ცენტრალური პრობლემა არის სოციალური სოლიდარობა. ამ პრობლემის გადაწყვეტამ პასუხი უნდა გასცეს კითხვაზე იმის შესახებ, თუ როგორი კავშირები აერთიანებენ ადამიანებს საზოგადოებაში. უნდა განისაზღვროს სოციალური სოლიდარობის ბუნება და ფუნქციები თანამედროვე განვითარებულ საზოგადოებაში და ახსნას საზოგადოების ერთი ფორმიდან მეორეზე ისტორიული გადასვლა.

საზოგადოების მთელის შემქმნელ და მისი მთლიანობის ხელშემწყობ ძალას წარმოადგენს შრომის დანაწილება, რომლის ქვეშაც მას პროფესიონალური სპეციალიზაცია ესმის, სულ უფრო და უფრო ასრულებს როლს, „რომელსაც ოდესღაც საერთო ცნობიერება ასრულებდა; სწორედ ის იკავებს ძირითადად უმაღლესი ტიპების სოციალურ აგრეგატებს ერთად“

შრომის დანაწილება - მაღალგანვითარებული საზოგადოების ნიშანია. შრომის სულ უფრო და უფრო მზარდი სპეციალიზაციის შედეგად ინდივიდები იძულებულნი არიან ერთმანეთს გაუცვალონ საქმიანობები და შეასრულონ

დამატებითი ურთიერთშემავსები ფუნქციები. სოლიდარობა - განვითარებულ საზოგადოებაში წარმოებით როლთა დანაწილების ბუნებრივი შედეგია.

არქაულ და განუვითარებელ საზოგადოებაში გაბატონებულ სოლიდარობას, იგი მექანიკურს უწოდებს იმ კავშირის ანალოგიურად, რომელიც არსებობს არაორგანულ ნივთიერებათა მოლეკულებს შორის. ასეთ საზოგადოებაში სოლიდარობა განისაზღვრება მისი შემადგენელი ინდივიდების მსგავსებით, ამ ინდივიდების მიერ შესრულებული საზოგადოებრივი ფუნქციების ერთგვაროვნებით, ინდივიდუალურ ნიშან თვისებათა განუვითარებლობით. მექანიკური სოლიდარობა შესაძლებებლია კოლექტივის მიერ ინდივიდუალობის ჩაყლაპვის ფასად.

სოლიდარობის ობიექტურ მაჩვენებელს „ხილულ სიმბოლოს“ დიურკემი სამართალში პოულობს. მექანიკური სოლიდარობისთვის დამახასიათებელია რეპრესიული სამართალი, რომელშიც გამოიხატება კოლექტიური ცნობიერების ძალა და რომლის ამოცანაა მკაცრად დასაჯოს ადათ- წესების ან კანონის დამრღვევი.

განვითარებული საზოგადოება, რომელში ყოველი ინდივიდი ასრულებს რომელიმე სპეციალურ ფუნქციას საზოგადოებრივი შრომის დანაწილების შესაბამისად, გვაგონებს ორგანიზმს, მისი სხვადასხვა ორგანოებით, ამიტომ დიურკემი სოლიდარობის ახალ სახეს, რომელიც მასში წარმოიშობა, ორგანულს უწოდებს.

შრომის დანაწილება განაპირობებს თავისი პროფესიონალური როლის შესაბამისად ინდივიდუალურ, პიროვნულ უნართა და ტალანტთა განმავითარებელ ინდივიდთა განსხვავებას. ყოველი ინდივიდი - ახლა პიროვნებაა.

შეგნება იმისა რომ თითოეული დამოკიდებულია მეორეზე - სხვაზე, რომ ყველა დაკავშირებულია შრომის დანაწილებით შექმნილი საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთიანი სისტემით, იწვევს ერთი მეორეზე დამოკიდებულების, სოლიდარობის, საზოგადოებასთან თავისი კავშირის გრძნობას.

ორგანულ სოლიდარობას შეესიტყვება ე.წ. რესტიტიული (აღდგენითი) სამართალი, რომლის ფუნქციაც „ნივთთა ადრინდელი წესრიგის აღდგენაში, დარღვეულ ურთიერთობათა მათ ნორმალურ ფორმაში მოყვანაში“ მდგომარეობს.

კოლექტიური ცნობიერება ორგანული სოლიდარობის დროს იღებს ახალ ფორმებს და იცვლის შინაარსს. იგი მცირდება მოცულობაში და ხდება რა მხოლოდ მცირე ნაწილაკი განვითარებული საზოგადოებისა, მისი ინტენსიურობა და განსაზღვრულობის გარკვეულობის ხარისხიც ასევე მცირდება. შრომის დანაწილების განვითარების ზომის შესატყვეისად კოლექტიური ცნობიერება სულ უფრო სუსტი და განუსაზღრელი - გაურკვეველი ხდება.

შრომის დანაწილების „არანორმალურ ფორმად“ დიურკემი თვლიდა უთანასწორობას, რომელიც თავის თავში ატარებს ორგანული სოლიდარობისგან გადახრას. ყოველგვარი „გარეგნული უთანასწორობა“ შექმნილი მაგ. ქონების მემკვიდრეობის მიღების შედეგად, ემუქრება ორგანულ სოლიდარობას, ამიტომ ეს უკანასკნელი შესაძლებელია მხოლოდ უთანასწორობის აღმოფხვრისა და „ტალანტთა ბუნებრივი განაწილების“ საფუძველზე სამართლიანობის მიღწევის პირობებში. შრომის დანაწილების „არანორმალურ ფორმად“ დიურკემს კაპიტალიზმის „ავადმყოფობანი“ მიაჩნდა, როგორიცაა: არარეგულირებული, არაფრით შეზღუდული კონკურენცია, კლასობრივი კონფლიქტი, შრომის რუტინიზაცია და სამუშაო ძალის დეგრადაცია - მის მიერ ხასიათდება, როგორც ავადმყოფობანი წარმოებისა და შრომის დანაწილების ძალიან სწრაფი ზრდისა, როგორც ბუნებრივი ევოლუციის დროებითი, მეორეხარისხოვანი, გარეშე პროდუქტი.

დიურკემს ვერ წარმოედგინა საზოგადოება, რომელშიც სავსებით აღმოფხვრილი იქნებოდა კერძო საკუთრება და ყოველგვარი უთანასწორობა. ის თვლიდა, რომ ისინი იარსებებდნენ თუმცა არ შეიცვლებოდა მათ შორის ურთიერთობა. მატერიალური დოვლათის განაწილებისადმი მიდგომა, დარეგულირდება ინდივიდთა ბუნებრივი უნარებით, მათი ნიჭიერებით.

შრომის დანაწილების „არანორმალურ“ ფორმათა გადალახვა დიურკემს ესახებოდა კონფლიქტთა მშვიდობიანი გადაჭრის გზით, მისაღებ ზომებამდე ბრძოლისა და კონკურენციის შემცირების, კლასთა ურთიერთობების მკაცრი მარეგულირებელი წესების დადგენის, „გარეგანი პირობების“ თანასწორობისა და სამართლიანობის შემოტანის გზით.

დიურკემმა შეიმუშავა კოლექტიური სინდისის ცნება, რომელიც მან შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში ასე დაახასიათა:

„რწმენებისა და გრძნობების ერთობლიობა, რომელიც საშუალოდ საერთოა ერთი საზოგადოების წევრებისთვის, ქმნის გამოცალკავებულ სისტემას, რომელსაც საკუთარი ცხოვრება გააჩნია; მას შეიძლება კოლექტიური ან საერთო სინდისი ვუწოდოთ. ეს არის მთლიანად განსხვავებული რამ ერთი კერძო სინდისისგან, თუმცა რეალიზებას მხოლოდ მისი მეშვეობით ახდენს.“

დიურკემი საუბრობდა ადამიანების რწმენების ერთობლიობაზე, კოლექტიურ სინდისს მიიჩნევდა მოცემული საზოგადოებიდან გამომდინარე. ის თვლიდა, რომ კოლექტიური სინდისი არის დამოუკიდებელი, გამოყოფილი კულტურული სისტემა. მართალია დიურკემი იზიარებდა მსგავს შეხედულებებს კოლექტიური სინდისის შესახებ, მაგრამ იგი ასევე აღნიშნავდა, რომ კოლექტიური სინდისი რეალიზდება მხოლოდ ინდივიდუალური სინდისის მეშვეობით.

კოლექტიური სინდისის ცნება გვაბრუნებს ისევ შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში, როცა ის საუბრობს მატერიალურ სოციალურ ფაქტებზე და მათ დამოკიდებულებაზე კოლექტიურ მორალში მიმდინარე ცვლილებებთან. ანუ შრომის დანაწილების ზრდა იწვევს კოლექტიური სინდისის გარდაქმნას. კოლექტიური სინდისი გაცილებით ნაკლებ მნიშვნელოვანია ორგანული სოლიდარობის მქონე საზოგადოებაში, ვიდრე მექანიკური სოლიდარობის მქონე საზოგადოებაში. თანამედროვე საზოგადოებაში ხალხს უფრო მეტად შრომის დანაწილება და სხვათა მიერ შესრულებული ქმედებების აუცილებლობა აკავშირებს, ვიდრე ყველას მიერ გაზიარებული და ძლიერი კოლექტიური სინდისი.

კოლექტიური რეპრეზენტაციები შეიძლება განვიხილოთ, როგორც კოლექტიური სინდისის განსაზღვრული მდგომარეობა, სუბსტრატა. კოლექტიური რეპრეზენტაცია გულისხმობს ნორმებსა და ღირებულებებს, რომელსაც იზიარებს მაგალითად ოჯახი, განათლების ან რელიგიური ინსტიტუტი. კოლექტიური რეპრეზენტაციების ცნება შეიძლება იყოს ფართოც და კონკრეტულიც, მაგრამ მისი კრიტიკული ასპექტი არის ის, რომ მან საშუალება მისცა დიურკემს არამატერიალური სოციალური ფაქტების კონცეპტუალიზაცია უფრო ვიწრო დონეზე, ვიდრე ამას კოლექტიური სინდისის ცნება გააკეთებდა. ის არ დაიყვანება ინდივიდუალური ცხოვრების დონეზე: „კოლექტიური რეპრეზენტაციები არის ინდივიდთა ასოციაციის შედეგი... მაგრამ მათ გააჩნიათ სუი გენერის ხასიათი“ (ლათ. „სუი გენერი“ - უნიკალური) როცა ეს ტერმინი დიურკემმა განიხილა კოლექტიურ რეპრეზენტაციებთან მიმართებით იგულისხმა, რომ ისინი არ დაიყვანებიან ინდივიდუალურ დონემდე. ეს კი მათ ათავსებს არამატერიალურ სოციალურ ფაქტებს შორის. ისინი უსწრებენ ინდივიდებს, რადგან არ არიან დამოკიდებულნი ინდივიდთა კონკრეტულ არსებობაზე. ისინი არ არიან დამოკიდებული ინდივიდებზე კიდევ ერთი მიზეზის გამო: მათი დროებითი არსებობა უსწრებს ნებისმიერი ინდივიდის მთლიან ცხოვრებას.

ჩვენს სამყაროში ადამიანთა უმრავლესობა ცხოვრობს ისეთ გარემოში, რომელშიც ჯგუფის ინტერესები ინდივიდის ინტერესების მაღლა დგას. ასეთ საზოგადოებას კოლექტივისტური საზოგადოებები ეწოდება. ეს ტერმინი აღნიშნავს არა ინდივიდის მეტ ძალაუფლებას, არამედ ჯგუფის ძალაუფლებას. დაბადების შემდგომ ჩვენი პირველი სოციალური გარემო ოჯახია. თუმცა კოლექტივისტურ საზოგადოებებში ბავშვი იზრდება „ოჯახში“, რომელშიც ერთად მცხოვრები ხალხთა ჯგუფი შედის: მშობლები, შვილები, ბებია-ბაბუები, ბიძები, დეიდები და ა.შ. ასეთ ოჯახებში აღზრდილი ბავშვები თავიანთ თავს უწოდებენ „ჩვენ“. ეს კავშირი უკვე ნებაყოფლობითი არ არის, არამედ ბუნების მონიჭებულია. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ადამიანი თავისი ჯგუფის ერთგული უნდა დარჩეს და ამ

ერთგულების დარღვევა საშინელი საქციელია. პიროვნებასა და ჯგუფს შორის პრაქტიკული და ფსიქოლოგიური ორმხრივი დამოკიდებულება ყალიბდება.

ზოგიერთი ადამიანი ისეთ საზოგადოებაში ცხოვრობს, რომელშიც ინდივიდის ინტერესები ჯგუფის ინტერესებზე მაღლა დგას. ასეთ საზოგადოებებს ინდივიდუალიასტური საზოგადოებები ეწოდებათ. მსგავს საზოგადოებაში აღზრდილი ბავშვები კი კოლექტივისტურისგან განსხვავებით, იზრდებიან მცირერიცხოვან ოჯახებში, სადაც მხოლოდ ბავშვი და დედ-მამა ცხოვრობს. ნათესავები კი სხვაგან ცხოვრობენ და იშვიათად ხედავენ ერთმანეთს. ასეთ ოჯახებში აღზრდილი ბავშვები თავიანთ თავს აღიქვამენ „მე“-დ. ეს „მე“ არის მათი პიროვნული იდენტობა და სხვა ადამიანებისგან განსხვავება. სხვა ადამიანების კლასიფიცირებაც ხდება არა ჯგუფური, არამედ ინდივიდუალური მახასიათებლების მიხედვით. განათლების მიზანია ბავშვებს დამოუკიდებლად მოღვაწეობა ასწავლოს. ამის მიღწევისთანავე ზრდასრული ბავშვი ოჯახს ტოვებს და საცხოვრებლად სხვაგან გადადის. ხშირად, სახლის დატოვების შემდეგ, მშობლებთან ურთიერთობას ამცირებენ ან საერთოდაც წყვეტენ. არც პრაქტიკულად და არც ფსიქოლოგიურად, ამ საზოგადოების ჯანმრთელი წევრი არ უნდა იყოს სხვებზე დამოკიდებული.

ინდივიდუალიზმი ახასიათებს ისეთ საზოგადოებას, რომელშიც ინდივიდებს შორის არსებული კავშირები სუსტია: მოსალოდნელია, რომ ყველა თავისთავს ან ოჯახის უახლოეს წევრებს მოუვლის. საპირისპიროდ, კოლექტივიზმი ახასიათებს ისეთ საზოგადოებას, რომელშიც ადამიანი დაბადებიდან მთელი სიცოცხლის განმავლობაში ძლიერ, შეკრულ შიდა ჯგუფში ერთიანდებიან. მუდმივი ერთგულების სანაცვლოდ, შიდა ჯგუფები პიროვნებას მთელი სიცოცხლის განმავლობაში იცავენ.

ზოგჯერ ჩნდება კითხვები: მართებულია თუ არა ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის ერთი განზომილების საპირისპირო პოლუსებად მოხსენიება? ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ვადარებთ ერთმანეთს, მთლიან საზოგადოებებს თუ ამ საზოგადოებაში არსებულ ინდივიდებს. საზოგადოება შედგება სხვადასხვა

პირადი ღირებულების მქონე განსხვავებული ინდივიდებისგან. ინდივიდების შედარებებისას კი ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი ცალ-ცალკე განზომილებებად უნდა გამოიყოს. ისეთ საზოგადოებაში, რომელშიც უფრო ინდივიდუალისტური ღირებულებებია, იმავდროულად ნაკლებად, მაგრამ არის კოლექტივისტური ღრებულებები და პირიქიტ, ისეთ საზოგადოებაში, რომელშიც უფრო მეტი კოლექტივისტური ღირებულებებია, საშუალოდ ნაკლებად აქაც არის ინდივიდუალისტური ღირებულებები. ამგვარად, საზოგადოების დონეზე ინდივიდუალიზმი და კოლექტივიმი ერთი განზომილების საწინააღმდეგო პოლუსებს წარმოადგენს.

ინდივიდისა და ჯგუფის ურთიერთობა, ისევე როგორც ადამიანის ბუნების ნებისმიერი სხვა ელემენტი, თავდაპირველად ოჯახურ გარემოში დაისწავლება. მოზრდილების, თანატოლებისა და პატარების გარემოცვაში გაზრდილი ბავშვი ნუკლეინური ოჯახის ბავშვისგან განსხვავებით, ბუნებრივად სწავლობს თავისი თავის „ჩვენ“ ჯგუფის შემადგენელ ნაწილად განხილვას. დიდი ოჯახის შვილი დღისით თუ ღამით იშვიათად არის მარტო.

ინტენსიური და მუდმვი კონტაქტების დროს სოციალურ გარემოსთან კონტაქტი აყალიბებს ჰარმონიულ ურთიერთობებს. მისი შენარჩენუება კი მთავარ ღირებულებად იქცევა. ეს ღირებულება ოჯახის სფეროსაც სცილდება. კოლექტიურ საზოგადოებაში სხვა ადამიანთან პირდაპირი კონფრონტაცია არასასურველ და უზრდელურ საქციელად მიაჩნიათ. სიტყვა „არა“ იშვიათად გამოიყენება, რადგან „არა“ კონფრონტაციაა; „შეიძლება სწორი ბრძანდებით, სიტყვა „დიახ“ ყოველთვის დათანხმებას კი არ ნიშნავს, არამედ კომუნიკაციის ხაზის შენარჩუნებას.

მეორე მხრივ, ინდივიდუალისტურ ქვეყნებში აზრების პირდაპირ გამოთქმა მთავარ ღირებულებად ითვლება. გრძნობების შესახებ სიმართლის თქმა პატიოსანი ადამიანის მახასიათებელია. კონფრონტაცია მისაღებია; ითვლება, რომ შეხედულებების შეჯახება მიგვიყვანს უმაღლეს ჭეშმარიტებამდე. ბავშვებს ოჯახში ასწავლიან, რომ რამდენადაც მტკივნეული არ უნდა იყოს, მან ყოველთვის უნდა

თქვას სიმართლე. კონფლიქტებთან გამკლავება ერთობლივი ოჯახური ცხოვრების ნაწილად აღიქმება.

კოლექტივისტურ ოჯახში ბავშვენი სწავლობენ, რომ სხვების აზრს უნდა მისდიონ. საკუთარი აზრი არ არსებობს - მას ჯგუფი განსაზღვრავს. თუ ახალი საკითხი წამოიჭრება და მასზე ჯერ არ არსებობს შეხედულება, ოჯახური თათბირია საჭირო. მხოლოდ ამის შემდეგ ყალიბდება საბოლოო აზრი. თუკი ბავშვი მუდმივად ჯგუფის საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს, ითვლება, რომ მას ცუდი ხასიათი აქვს. ინდივიდუალისტური ოჯახი მოელის და ხელს უწყობს ბავშვის საკუთარი აზრის ჩამოყალიბებას. იმ ბავშვზე, რომელიც მხოლოდ სხვების შეხედულებებს იმეორებს, ამბობენ, რომ სუსტი ხასიათი აქვს. სასურველ ხასიათთან თანხვედრაში მყოფი ქცევა კულტურულ გარემოზეა დამოკიდებული.

კოლექტიური საზოგადოებისთვის ჯგუფისადმი აუცილებელი ერთგულება რესურსების გაყოფასაც გულისხმობს. თუ დიდი ოჯახის ერთი წევრი მუშაობს, ხოლო დანარჩენი 20 - არა, ფულის შემომტანი ადამიანი აუცილებლად უნდა გამოჰყოფდეს მთელი ოჯახის გამოსაკვებ თანხას. ამ პრინციპზე დაყრდნობით შესაძლებელია, რო ოჯახმა კოლექტიურად დაფაროს ერთი წევრის უმაღლესი განათლების ხარჯები, იმ იმედით, რომ როდესაც ეს ადამიანი კარგადანაზღაურებად სამსახურს იშოვის, მის შენატანს ოჯახი გაიყოფს.

ინდივიდუალისტურ კულტურაში მშობლებს უხარიათ, თუკი თავიანთი შვილი მცირე ასაკიდან მოჰკიდებს რაიმე ტიპის სამუშაოს ხელს, რათა საკუთარი ჯიბის ფული გამოიმუშაოს. შემდეგ თავად წყვეტს თუ რაში და როგორ დახარჯოს ეს ფული. აშშ-ში ჩვეულებრივად ითვლება ის ფაქტი, რომ სტუდენტი დროებითი სამუშაოს ან სასწავლო კრედიტით ფარავს განათლების ხარჯებს; სახელმწიფო დახმარების გარეშეც კი, ისინი ნაკლებად არიან დამოკიდებულნი მშობლებზე და საერთოდ არ არიან დამოკიდებულნი შორეულ ნათესავებზე.

კოლექტივისტურ საზოგადოებაში ოჯახური მოვალეობები მხოლოდ ფინანსურ კი არა რიტუალურ ხასიათსაც ატარებს. ოჯახური თავყრილობები,

როგორიცაა ნათლობა, ქორწილი, და განსაკუთრებით დაკრძალვა, ძალიან მნიშვნელოვანია და მასზე დასწრება სავალდებულოა. ინდივიდუალისტებში კი - ეს ყველაფერი აუცილებლობას არ წარმოადგენს და ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

ლიტერატურა

1. ბერძენიშვილი ა. ემილ დიურკემის სოციოლოგია თავი V, ფერდინანდ თიონისის სოციოლოგიური თეორია თავი IX, წიგნში „კლასიკური სოციოლოგიური თეორიები“ (სოციოლოგიური თეორიების განვითარების ადრეული წლები), თბ. 2013. (§2-6 თავი I);
2. სუმბაძე ნ. ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი თავი III წიგნში „ თაობები და ღირებულებები“ “Generations and values” თბ. 2012. (§1თავი I);
3. სურმანიძე ლ. ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი თანამედროვე კონცეფციები თავი IV წიგნში „ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური საზოგადოებები“ თბ. 2001. (§2. თავი II);
4. ქეცბაია კ. სოციოლოგიის ძირითადი ცნებები, თავი VI,წიგნში „სოციოლოგიის შესავალი“ (§7.თავი I);
5. ჰოფსტედე გირტ, ჰოფსტედე გერტ იან, მე, ჩვენ, ისინი, თავი III, წიგნში „კულტურები და ორგანიზაციები, გონების პროგრამული უზრუნველყოფა“, თბ. 2011 (§1, 3, 4, 5, 6 თავი II).